





CAREC-ის (ეკონომიკური და ცოდნის) დერეფნების საქმიანობა ცენტრალურ აზიაში



დერეფნები CAREC-ის რეგიონში

- ▶ ეკონომიკური დერეფნები
- ▶ ცოდნის დერეფნები
- ▶ ეკოლოგიური დერეფნები



ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის ექვსი დერეფანი



Boundaries are not necessarily authoritative.

დერეფნის საქმიანობის შეფასების და მონიტორინგის (CPMM) მექანიზმის ძირითადი პროდუქტები

- ▶ ანგარიში ექსპერტებისთვის, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ პოლიტიკის სიღრმისეულ კვლევას
- ▶ მონაცემები მკვლევრებისთვის, რათა დეტალურად შეისწავლონ საკითხები, მათი მიზეზები და განახორციელონ კვლევის ანალიზი
- ▶ მოკლე მიმოხილვები პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რომელთაც აინტერესებთ კვლევის შედეგები და რეკომენდაციები.

პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა იძლევა ინფორმაციას რეგიონული ვაჭრობის არსებული ხელშემშლელი ფაქტორების შესახებ, რაც საჭიროებს ცვლილებას:


1. შედეგების გაცნობა გავლენის მისაღწევად ეროვნულ დონეზე.
2. ეროვნული პოლიტიკის დიალოგში ჩართვა და კვლევითი მტკიცებულებების ეროვნულ პოლიტიკაში გამოყენება.
3. ორმხრივ კომუნიკაციაში ჩართვა ხელისუფლებასთან, რომელიც ახორციელებს შესაბამისი პოლიტიკის ღონისძიებებს CPMM-ის მიგნებების საფუძველზე.

ეკონომიკური დერეფნები


ეკონომიკური დერეფანი და რეგიონული ინტეგრაცია

- ▶ რეგიონულ ინტეგრაციას თან სდევს ეკონომიკური და სოციალური ღირებულებების გავრცელება, რის გამოც იგი სტაბილურობის ხელშეწყობის, რეგიონულ გამოწვევებთან გამკლავებისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა
- ▶ უფრო ძლიერი ინსტიტუტები და უფრო მჭიდრო სავაჭრო ინტეგრაცია, შიდა რეგიონული მიწოდების ჯაჭვები და უფრო ძლიერი ფინანსური კავშირები, რაც შესაძლებელს გახდის მასშტაბის ეკონომიის გამოყენებას
- ▶ ეკონომიკური დერეფანი ხშირად რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პირდაპირი შედეგია და მისი მდგრადობის ძირითად საყრდენს წარმოადგენს.
- ▶ ADB რეგიონულ ინტეგრაციას განიხილავს, როგორც აზიაში ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების საშუალებას. CAREC-ის პროგრამა ADB-ის ერთ-ერთი ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონული თანამშრომლობისა და ვაჭრობის ხელშეწყობას.

რეგიონული თანამშრომლობა და ინტეგრაცია



ეკონომიკური დერეფნის განვითარება



ეკონომიკური დერეფნის სარგებელი

- ▶ ეკონომიკური დერეფნები რეგიონების ეკონომიკური განვითარებისა და ინტეგრირებული ზრდის გზაშესაყარს წარმოადგენს და ხელს უწყობს პროდუქტიული ფაქტორების ინტენსიურ ურთიერთქმედებას. პირდაპირ სარგებელთან ერთად, ეკონომიკურ დერეფნებს არაპირდაპირი ღირებულებაც აქვთ, რაც გავლენას ახდენს მრავალი ადამიანის ცხოვრებაზე მიმდებარე რეგიონებში.
- ▶ დერეფანმა შესაძლოა ბიძგი მისცეს ჩამორჩენილი რეგიონების ინდუსტრიალიზაციას, შექმნას სამუშაო ადგილები და სხვა სოციალური შესაძლებლობები. იმავდროულად, ეს ზოგადად დააჩქარებს რეგიონული ინტეგრაციის პროცესს.



ეკონომიკური დერეფანი - ციფრული კავშირი (ციფრული ტექნოლოგიების განვითარების განსხვავებული დონე)

ინდიკატორები	აზერბაიჯანი	საქართველო	ყაზახეთი	ყირგიზეთის რესპუბლიკა	მონღოლეთი	პაკისტანი	ტაჯიკეთი	უზბეკეთი
ღირებულება და ფინანსური ხელმისაწვდომობა	5	7	8	2	6	3	1	4
ხელმისაწვდომობა და ინფრასტრუქტურა	7	6	8	3	4	1	2	5
ინტერნეტის ხარისხი	3	8	6	7	2	5	4	1
რეგულაციები	4	8	6	5	7	2	1	3
ციფრული უსაფრთხოება	7	6	8	3	2	4	1	5
ისტ-ის გამომავალი მონაცემები	6	3	8	5	7	4	2	1
ციფრული FDI	1	2	8	3	6	7	4	5
სპილენძის კაბელით მონაცემთა გადაცემის ინტერფეისი (CDDI)	6	7	8	3	5	2	1	4

- მწვანე - დაბალი ციფრული განსხვავება
- წითელი - მაღალი ციფრული განსხვავება

ეკონომიკური დერეფანი - ენერგეტიკული კავშირი


- ▶ მოთხოვნა ინვესტიციებზე ენერგეტიკის სექტორში:
 - დაახლოებით 300 მილიარდი აშშ დოლარი 2030 წლისთვის
 - მხოლოდ სახელმწიფოს ინვესტიციები არ არის და არ იქნება საკმარისი
 - განახლებადი ენერჯის წყაროების წილი ენერგეტიკულ ბალანსში უაღრესად მცირეა CAREC-ის რეგიონის ქვეყნებში
 - ხელმისაწვდომობა, ინვესტიციები და რესურსების ეფექტურობა CAREC-ის პროგრამებში ბოლო პერიოდში დანერგილი ენერგეტიკის სექტორის სტრატეგიის ძირითადი სფეროებია

ეკონომიკური დერეფანი - ენერგეტიკული კავშირი

- ქვანახშირსა და ნავთობზე CAREC-ის ქვეყნების ენერჯის წარმოების 15-დან 75%-მდე მოდის
- წიაღისეულის მაღალი წილი ენერგეტიკაში უარყოფითად აისახება ენერგოუსაფრთხოებაზე, რადგან ასუსტებს ხელმისაწვდომობის განზომილებას.
- მთლიანობაში, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი და სხვა მინერალური რესურსები როგორც ვაჭრობის, ასევე ენერგეტიკული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონში.
- აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის მშპ დამოკიდებულია ამ წიაღისეული რესურსების ფასებზე.
- CAREC-ის რეგიონის 11 ქვეყნიდან მხოლოდ 4-ს აქვს ჰიდროელექტროენერჯის მაღალი წილი ენერგეტიკულ ბალანსში.

ეკონომიკური დერეფნების სარგებელი

ეკონომიკური ეფექტი



ეკონომიკური განვითარების გაუმჯობესება, ვაჭრობის ზრდა, მიუვალი ადგილების განვითარება, მცირე ბიზნესის შესაძლებლობები

სოციალური ეფექტი



ადამიანების მობილობის გამართივება, სოციალური ინფრასტრუქტურა, ცხოვრების ხარისხი და საზოგადოება

ცოდნის დერეფნები

ცოდნის დერეფნები

- ▶ ცოდნის დერეფანი წარმოადგენს ცოდნის ხელშემწყობთა (ხელისუფლება), ცოდნის გადამცემთა (დარგის ექსპერტები), ცოდნის შემქმნელთა (კვლევითი სუბიექტები) და ცოდნის გარდამქმნელთა (ბიზნესსექტორი) ურთიერთდაკავშირებულ ქსელს ვირტუალური დანიშნულების ადგილებით, აზრებითა და იდეებით.
- ▶ ცოდნის დერეფნის იდეა გულისხმობს ამ უზარმაზარი პოტენციალის გამოყენებას, სახელმძღვანელო ჩარჩოების შემუშავებას და ცოდნის გარდაქმნას ხელშესახებ სარგებლად.
- ▶ ცოდნის დერეფნებს კრიტიკული როლი ეკისრებათ რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის პლატფორმებზე, თუ გავითვალისწინებთ სტანდარტიზებული და სისტემური მიდგომის მნიშვნელობას და საჭიროებას რეგიონული ტრანსპორტის, ვაჭრობის, ენერგეტიკისა და ტურიზმის განვითარებაში.



ცოდნის დერეფნები

- ▶ ცოდნის დერეფნების ძირითადი იდეაა ცოდნისგან მომგებიანი საქონლის შექმნა ან „მონაცემების დოლარებად“ გარდაქმნა.
- ▶ უნივერსიტეტების მიერ მიღებული და კვლევითი ორგანიზაციების მიერ დამუშავებული მონაცემები გარდაიქმნება მოგებად და ხორციელდება მისი ხელახალი ინვესტირება ცოდნის მისაღებად.
- ▶ კვლევით ორგანიზაციებს ქმედითი როლი ეკისრებათ, რათა დაეხმარონ ხელისუფლებას ინფორმირებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებაში.
- ▶ უნივერსიტეტებს შეუძლიათ კვლევითი პორტფელის დივერსიფიცირება სასწავლო გეგმებში ისეთი საკითხებისა და თემების დამატების გზით, რომელთა მიმართაც ბიზნესმა ინტერესი გამოხატა.
- ▶ განვითარების პარტნიორები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ცოდნის შექმნისა და გაზიარების თვალსაზრისით, რათა ერთმანეთთან დააკავშირონ ცოდნის სუბიექტები და მოახდინონ საჭირო ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის მობილიზება.



CAREC-ის ინსტიტუტის ცოდნის დერეფნები

- ✓ CAREC-ის ინსტიტუტის კვლევა, შესაძლებლობების შექმნა და ცოდნის მართვა
- ✓ CAREC-ის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ცენტრების ფორუმი (CTTF)
- ✓ მოწვეული პროფესორის პროგრამა (VFP), ADB-ის მხარდაჭერით
- ✓ CAREC-ის ინსტიტუტის კვლევითი კონფერენცია (RC)
- ✓ ახალი კვლევითი ინიციატივები ინფორმაციის გაცვლის გზით

ცოდნის დერეფნები – კვლევა

- ▶ კვლევის ფოკუსი:
 - ▶ CRII, დიჯიტალიზაცია, კლიმატი – წყალი, CPMM, ფინანსური მდგრადობა
- ▶ ერთობლივი კვლევა CAREC-ის ეროვნულ სისტემებთან ერთად
- ▶ ერთობლივი პუბლიკაციები - ცოდნის ერთობლივად შექმნა

ცოდნის დერეფნები - შესაძლებლობების შექმნა

ინტერგრირებული მიდგომა



CAREC-ის ჩაი

CAREC-ის რეგიონის მრავალ ქვეყანასა და კულტურაში ადამიანებს აქვთ ყველაზე გულწრფელი და ღია საუბრები სამზარეულოში ფინჯან ჩაისთან - რაც საყოველთაოდ ცნობილია, როგორც „ჩაის“ საუბრები. შესაბამისად, CAREC-ის ჩაის სერიის მიზანია ხელი შეუწყოს ღია დისკუსიებს ექსპერტებს, კვლევით ორგანიზაციებს, განვითარების პარტნიორებსა და CAREC-ის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს შორის, მოსაზრებების გაცვლის მიზნით CAREC-ის რეგიონში დაკავშირებისა და თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ.



პოლიტიკის დიალოგი

2020 წლიდან CAREC-ის ინსტიტუტმა მოახდინა ცოდნის სერვისების დივერსიფიცირება, რათა უფრო მოხერხებული და მოქნილი გაეხადა წევრი ქვეყნების ზრდადი საჭიროებების დაკმაყოფილების პროცესი. პოლიტიკის დიალოგი ძირითადი ინსტრუმენტია პოლიტიკის დროული განხილვის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, ციფრული CAREC-ის, კლიმატის ცვლილების, წყლის მართვის საკითხებზე და სხვ.



ცოდნის გავრცელება და შერეული სასწავლო პროგრამები

2020 წლიდან CAREC-ის ინსტიტუტმა გარდაქმნა ცოდნის სერვისები, ცოდნის თანდათანობითი გავრცელებისა და შერეული სასწავლების მიმართულებით. ინსტიტუტმა დაიწყო ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობა და მოიცვა CAREC-ის ხუთივე პრიორიტეტული ჯგუფი.



კვლევაზე დაფუძნებული შესაძლებლობების შექმნის ინტერვენციები

CAREC-ის ინსტიტუტი საკუთარი პროფესიული და ანალიტიკური შესაძლებლობების გამოყენებით ატარებს ხარისხიან, კვლევაზე დაფუძნებულ შესაძლებლობების შექმნის საქმიანობას პარტნიორი ორგანიზაციების მდგრადი შესაძლებლობებისა და უნარების განვითარების მიზნით.



ტრენერთა მომზადება და პრაქტიკის ფორუმი

CAREC-ის ინსტიტუტმა 2021 წელს განახორციელა CAREC-ის საგზაო აქტივების მართვის განვითარების დონის შეფასება და ტრენერთა მომზადება, ასევე ცოდნის გაზიარების სერია: ჩინეთის საუკეთესო პრაქტიკა საერთაშორისო ელექტრონულ ვაჭრობაში 2022 წელს.



ELEARNING.CARECINSTITUTE.ORG

უფასო მონაწილეობა ონლაინ

- ვებინარების კალენდარი
- სემინარების დეტალები
- სწავლება და სასწავლო მასალები

თვითგანვითარების შესაძლებლობა

- ციფრული სწავლების მოდულები
- ექსპერტთა საუბრების ვიდეოჩანაწერები
- საკითხავი მასალები



www.carecinstitute.org

ცოდნის დერეფნები - ცოდნის მართვა



ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი

CAREC-ის ინსტიტუტის ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენი 3,000-ზე მეტ დაინტერესებულ მხარეს ყოველთვიურად აცნობს სიახლეებს ბოლო პერიოდის და უახლესი ცოდნის ღონისძიებებთან და დარგობრივ კვლევებთან დაკავშირებით



გაშუქება მედიაში

CAREC-ის ინსტიტუტის თემებისა და ღონისძიებების 170 გაშუქება მედიაში სამ ენაზე CAREC-ის ქვეყნებში.



განვითარება - აზია

CAREC-ის ინსტიტუტმა გამოსცა აზიის განვითარების 18 ადაპტირება, რომლებიც მოიცავს არსებული ეკონომიკური ტენდენციებისა და გამოწვევების შეფასებებს CAREC-ის რეგიონში.



სოციალური მედია

CAREC-ის ინსტიტუტი უახლეს ამბებს წარმოადგენს და აშუქებს მოვლენებს შემდეგი მედიაპლატფორმების: LinkedIn, Weibo, WeChat, TikTok და ვებგვერდის გამოყენებით.

1 ცოდნის შექმნა

CAREC-ის ინსტიტუტი ატარებს მაღალი ხარისხის კვლევებს რეგიონული ტენდენციებისა და საკითხების შესახებ. კვლევის შედეგები ვრცელდება წიგნების, კვლევითი ანგარიშების, სტატიების, მოკლე ეკონომიკური და პოლიტიკური მიმოხილვების ფორმით და სხვ.

ცოდნის გაზიარება 2

CAREC-ის ინსტიტუტი ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებას დიალოგების, კონფერენციების, ვებინარების, სწავლებების, პრაქტიკის ფორუმებისა და ელექტრონული სწავლების გზით.

3 ცოდნის ბროკერი

CAREC-ის ინსტიტუტი ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებას CAREC-ის რეგიონის დაინტერესებულ მხარეებს შორის, რათა გაიზარდოს სახელმწიფოსა და ინდივიდუალური შესაძლებლობები მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეფექტური მონაწილეობისათვის.

ცოდნის გადაცემა 4

CAREC-ის ინსტიტუტი ხელს უწყობს პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ცოდნის გადაცემას CAREC-ის რეგიონის წევრ ქვეყნებს, ასევე სხვა რეგიონულ სავაჭრო ბლოკებს შორის.

5 ცოდნის კომუნიკაცია

CAREC-ის ინსტიტუტი ფართო საზოგადოებას აწვდის ტექნიკურ და კომპლექსურ ინფორმაციას შედარებით ხელმისაწვდომი და გამარტივებული ფორმატით ელექტრონული სწავლების, ინფოგრაფიკების, კვლევითი დაიჯესტების, ადაპტირებებისა და სხვ. გამოყენებით.

ეკოლოგიური დერეფნები

ეკოლოგიური დერეფნები

- ▶ კლიმატის ცვლილება
- ▶ წყლის რესურსები
- ▶ ეკოლოგიური კავშირები და გამოწვევები
- ▶ ეკოლოგიური თანამშრომლობა და შესაძლებლობები



ეკოლოგიური დერეფნები

- ▶ წყალთან დაკავშირებული თანამშრომლობის გაუმჯობესება: დაახლოებით 4.00 მილიარდი აშშ დოლარი
- ▶ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებამ შესაძლოა დაზოგოს დაახლოებით 6.5 მილიარდი აშშ დოლარი
- ▶ ნიადაგის დეგრადირების შემცირებამ მიწათსარგებლობის გაუმჯობესებით შესაძლოა ხელი შეუწყოს 5.85 მილიარდი აშშ დოლარის დაზოგვას
- ▶ ეკოლოგიური მომსახურებების პოტენციური ცენტრალურ აზიაში არ არის შეფასებული და ინტეგრირებული ეროვნული ქონების სისტემაში

დასკვნა

- ცენტრალური აზიის რეგიონი არის ყველაზე ნაკლებად ინტეგრირებული რეგიონი აზიაში და მას გააჩნია არაერთი შესაძლებლობა, რათა მიიღოს სარგებელი ეკონომიკური ზრდის ამჟამად არსებული მაღალი დონეებიდან.
- კავშირების ზრდა და ვაჭრობის გაძლიერება ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის - სრულყოფილი და ამავე დროს მარტივი პროცედურების ჩამოყალიბება არსებულ დერეფნებში საქონლისა და მომსახურების რეგიონში გადაადგილებისთვის

დასკვნა

- ეკონომიკური დერეფნების როლი ვაჭრობის მაღალი დონის, ექსპორტ-იმპორტის შეუფერხებელი განხორციელებისა და საქონლისა და მომსახურებების სწრაფი გადაადგილების მიზნით ხელს შეუწყობს ეკონომიკური ეფექტების გავრცელებას ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის.
- ცოდნის დერეფნები წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ ქსელს ვირტუალური დანიშნულების ადგილებით და ცოდნის ხელშემწყობთან აზრებითა და იდეებით
- ცოდნის დერეფნები ხელს უწყობს რეგიონული თანამშრომლობის მდგრად განვითარებას CAREC-ის რეგიონში

დასკვნა

- ეკოლოგიური დერეფნები - ურთიერთდაკავშირებული პრობლემები და ბუნება
- ეკოლოგიური დერეფნების შესაძლებლობები - მდგრადი განვითარება და პრობლემებთან ბრძოლა